



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 37

26/12/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩაზე (ფართობი 1,00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი 62.09.54.028), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, პირობებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს ქალაქ ახალციხეში, ვარძიის ჩიხი N11-ში რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმე პაატა ალთუნაშვილს (ს/ნ 47001001047).
2. ინდივიდუალურმა მეწარმე პაატა ალთუნაშვილმა (ს/ნ 47001001047) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს სარეკლამო ბანერის დასამაგრებლად ბოძის განთავსებისათვის.
3. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2019 წლის 11 მარტის №63 აუდიტორული დასკვნა), ყოველ კვადრატულ მეტრზე 15,00 (თხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მეზღვივის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

